ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/331/39

CPV**33199000** - სამედიცინო ტანსაცმელი
SPA**170005664**

ქ. თბილისი 01 მაისი 2017 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი თავჯდომარის **გურამ ტომარაძის** სახით და **შპს „ჯეოფლაგი”**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან გველესიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული „მხარეებად“, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის ბახილების შესყიდვა დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად:

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **12348 (თორმეტი ათას სამასორმოცდარვა)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, დ.ღ.გ.-ს (კანონმდებლობით გათვალიწინებულ შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში.
3.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.
3.5. ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის **2017 წლის საკუთარი სახსრებით.**

4.მიღება–ჩაბარების წესი

4.1. მოწოდებულ საქონლზე, მათ შორის ეტაპობრივზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით;
4.2. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასაწყობო განყოფილება;
4.3. საქონელი ჩაითვლება მოწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.4. თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილი: სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ც/საწყობი მის: **ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ;**
5.2. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 დეკემბრამდე, მოთხოვნიდან 20 კალენდარულ დღეში. მოთხოვნა განხორციელდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების **5.2.** პუნქტში.

7. საქონლის ხარისხი

7.1 სატენდერო პირობებთან ხარვეზის, დაზიანების და დეფექტის მქონე საქონლის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოვლენილი ნაკლის ან ხარვეზის გამოსწორება (თუ ეს შესაძლებელია) ან საქონლის შეცვლა ახლით, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მიმწოდებლის მიერ მითითებულ ელ. მისამართზე), შეტყობინების გაგზავნის მომდევნო დღიდან აითვლება წუნდებული საქონლის ხარვეზის გამოსწორების ან შეცვლის 15 დღიანი ვადა.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა ან შეცვლა წუნდებული საქონლის ახლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, დაუბრუნებელი წუნდებული საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა.

7.3 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული საქონლის ორმაგი ღირებულების ოდენობით.

7.4 თუ შემსყიდველის მოთხოვნის შედეგ, 5 დღის ვადის ამოწურვამდე, მიმწოდებელი წერილობითი ფორმით უარს აცხადებს წუნდებული საქონლის ახლით ჩანაცვლებაზე, შემსყიდველი მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს მხოლოდ წუნდებული საქონლის ორმაგი ღირებულების ოდენობით.

7.5 თუ შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებელი წერილობითი ფორმით უარს აცხადებს წუნდებული საქონლის ახლით ჩანაცვლებაზე, შემსყიდველი მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს წუნდებული საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და წუნდებული საქონლის ორმაგი ღირებულების ოდენობას.

7.6 თუ მხარეებს შორის აღნიშნული საკითხი არ მოგვარდება მოლაპარაკების გზით, დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის და საქონლის დაგვიანებით მოწოდების შემთხვევაში, „მომწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებული საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო საქონლის საერთოდ ან ნაწილობრივ მიუწოდებლობის შემთხვევაში მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 20%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398–ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, გარდა 10.3 პუნქტისა.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეებზე და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალიწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საკანონმდებლო რეგულაციებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების დადგომისა და ხანგრძლივობის შესახებ. თუ მხარე მეორე მხრიდან არ მიიღებს წერილობით პასუხს - თანხმობას „ფორს-მაჟორი“-ს დადგომის შესახებ, იგი აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 მხარეების მიერ „ფორს-მაჟორი“-ს დადასტურების - აღიარების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მხარეთა წერილობით შეთანხმებით შეიძლება გადაწეული იქნეს „ფორს-მაჟორი“-ს ხანგრძლივობის ვადით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 2 თებერვლის** ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველს“ ერთი „მიმწოდებელს“).

12.4. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად:

- სატენდერო დოკუმენტაცია.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	შპს ,,ჯეოფლაგი“
ს/კ 211350928	ს/კ 402042945
	ბანკის დასახელება: სს თიბისი ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა GE19TB7685636080100004
თავმჯდომარე გურამ ტომარაძე	დირექტორი ლევან გველესიანი
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)

GEOFLAG

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია	რაოდენობა (წყვილი)	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მოწოდების ვადა	მოწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ბახილები	ერთჯერადი გამოყენების, ზომა 40X13სმ ბახილები დაფასოვებული 1000 ცალიან შეფუთვაში, მომხმარებისთვის გამძლეა და ადვილად არ იხევა.	თურქეთი MİRAKS SAĞLIK	360000	0,0343	12348	მოთხოვნიდან 20 დღეში	დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

დირექტორი
ლევან გველესიანი

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	შპს "GEOFLAG"
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	ლევან გველესიანი
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	წერეთლის 55
საიდენტიფიკაციო კოდი:	402042945
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	551990303
ელექტრონული მისამართი:	geoflag@mail.ru
ბანკის დასახელება	ტიბისი ბანკი
ბანკის კოდი:	TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:	GE19TB7685636080100004

დირექტორი ლევან გველესიანი